საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 18 აპრილი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გამოწერის ფასი 1 თვით [illegible] მანეთი, [illegible] ... [illegible] მანეთი. განცხადების ფასი [illegible] პეტიტის სტრიქონზე 5 მანეთი. [illegible] 6 მან. [illegible] 100 მანეთი. [illegible] რედაქცია და კანტორის მისამართი: [illegible] ტელეფონი 16—83

№ 86 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 86

კვირას, 18 აპრილს ნიგოითის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან ერთი წლის და წლისთავის წირვა და პანაშვიდი წმინდა ნინოს ქ. გიმნაზიის მე-4 კლასის მოწაფის

ნინოსი და მისი 5 წლის დის **ელენეს** (ბუბურის)

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დიდად დამწუხრებულნი მამა ბარნაბი, დედა პელაგია და ძმა გიორგი (გოგიკო) სურგულაძეები. (1294 2—2)

ძმები ტარასი და ფილიპე სოლომონის ძენი, რძალი სოფიო მიხეილის ასული, ძმისშვილი გიორგი ტარასის ძე და დები [illegible] სოლომონის ასული გუგუნავასი, მარიამ სოლომონის ასული [illegible], ეკატერინე სოლომონის ასული, [illegible] სოლომონის ასული [illegible], სიძეები: ილია სპირიდონის ძე გუგუშვილი, მიხეილი მარკოზის ძე [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 18 აპრილს ს. [illegible] მთავარანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი [illegible] ომში [illegible] ბრძოლის დროს დაღუპულ

გრიგოლი (ხუტუ) სოლომონის ძე სპირ[illegible]ნაველის

ორი წლის [illegible] თავის [illegible]. (1292—1—1)

კონკურსი

გორის და მის მიდამოებში მომხდარ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის საგანგებო კომიტეტი, აცხადებს კონკურსს [illegible] სახლების პროექტის შესადგენად, [illegible] და 800 [illegible] ადგილებზე.

შემდეგ პირობებში:

1) უნდა დაზადდეს პროექტი ხოლოდ ორი ოთახის სახლისა თავის სამზარეულოთი; პირველი ოთახის სივრცე—5—5 ოთხკუთხი საჟ., მეორისა—7—8 ოთხკუთხი საჟ. მეორე ოთახის [illegible] უნდა იყოს [illegible], რომ [illegible], [illegible] შეძლებისდაგვარად [illegible] ოთახად გაყოფა, [illegible] უნდა [illegible] საწოლი ტახტები [illegible] შესაძლებლობის, ტანისამოსის და ყოველ დღე სახმარებელ საგნების შესანახავად.

2) სახლებზე მიშენებული უნდა იქმნეს: ვერანდა, (ბალკონი) ერთი საჟ. სიგანისა [illegible] სათავსოებისათვის (ღომის, ხახვი, ყველი და სხვა), რომლის სივრცე—2 კვ. საჟ., [illegible] უნდა იყოს სახლთან, მაგრამ ჰიგიენური მოსაზრებით არ უნდა იყოს მიდგმული მასზე ორგანიულად.

8) პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:

ა) განზრახული შენობა უნდა იყოს სეისმომედეგი.

ბ) " " " ეკონომიური (მასალის დაზოგვით ნაშენი).

გ) " " " ჰიგიენური.

დ) " " " ცეცხლის მძლე.

ე) " " " უნდა აკმაყოფილებდეს დაზარალებულ რაიონის ყოფა-ცხოვრების პირობებს.

3) შენობა უნდა წარმოადგენდეს ხელოვნებით ნაგებს, რომელნიც ახდენ მცირე და მარტივ [illegible] შეფარდება და შეფარდებული უნდა იყოს ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებისა და ეროვნულ თავისებურებასთან.

4) რადგანაც ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება მრავალი სხვადასხვა საამშენებლო მასალა, ამიტომ პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მისაღებია მხოლოდ შემდეგი მასალა:

ა) საძირკვლისათვის—[illegible] ქვა, დატეხილი რიყის ქვა, ბეტონი.

ბ) კედლისათვის—აგური, ქვა, დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა, თიხა, ბეტონი.

გ) ჭერისათვის—დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა.

დ) სახურავისათვის—ის მასალა, რაც ადგილობრივ [illegible], გარდა რკინისა, რომლის შოვნა არ არის სასურველი

5) ადგილობრივ ბაზარზე უქონლობის გამო, რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იქმნეს ხმარებული შემდეგი მასალა: რკინა, ცემენტი (ცემენტი), ტყის დამუშავებული მასალა ([illegible]—სახერხავის ყავარი) კედლების საშენებლად არ შეიძლება ხმარება მთელი ხის [illegible] თუნდაც დამუშავებულისა.

6) პროექტის წარმოსადგენი უკანასკნელი ვადა დანიშნულია მაისის 10.

7) თავის გადაწყვეტილებას ჟიური გამოიტანს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან პროექტის წარდგენისა, პრემიის მიცემის წინ და მის შემდეგ ორი დღის განმავლობაში წარმოდგენილი პროექტი გამოფენილი იქნება საჯაროდ. განცხადებანი ჟიურის გადაწყვეტილებაზე, თუ ასეთები იქნება, მიიღება ორი დღის განმავლობაში, რომლის შემდეგ შემოსული განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული.

ჟიურის გადაწყვეტილების შემდეგ, კომისიის [illegible] საერთო სხდომაზე გაიხსნება სადევიზო პაკეტები და გამოქვეყნდება ავტორის ვინაობა.

8) ჟიური შესდგება შემდეგი 5 პირისაგან: ინჟ. ქურდიანი, [illegible], [illegible], წარმომადგენელი გორის ერობისა და [illegible] კომიტეტის. გარდა ამისა მოწვეულ იქნება ხელოვანთა და გეოლოგთა კომისიები დასკვნისათვის.

9) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქნეს [illegible], რაიმე დევიზით, და დახურულ საფოსტო პაკეტით, რომელშიაც იქნება ნაჩვენები ავტორის ვინაობა და მისამართი.

10) ნახაზი მასშტაბი: 2 დიუმ.—საჟენს—შენობის გეგმისა და პირისათვის (фасад) 1 დიუმი საჟენს,—გეგმისათვის პროექტის აგებულობის წვრილმანები, რომელიც სახავენ მის თავისებურებას (განსაკუთრებით სეისმომედეგობის დანიშნულებისა) უნდა შესრულდეს გადიდებული მასშტაბით, თვით ავტორის შეხედულებით. პროექტების ნახაზის შესრულების წესი (ფანქარი, ტუში და სხვა) დამოკიდებულია ავტორის სურვილზე. პროექტს თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი.

11) საუკეთესო პროექტებისათვის, რომელნიც დააკმაყოფილებენ კონკურსის პროგრამას, დანიშნულია ორი პრემია: 25,000 მან., და 15,000 მან. ამასთან ერთად საგანგებო კომიტეტი იტოვებს უფლებას წარმოდგენილ პროექტებიდანაც 10.000 მანეთად შეისყიდოს ის პროექტი, რომელიც მას მოეწონება.

12) თვითეულმა კონკურენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტის ორი ვარიანტი [illegible] და [illegible], პროექტის [illegible] შეიძლება [illegible] ცალ-ცალკე და ჟიურის გადაწყვეტილებით, პრემია მიეცემა თვითეულ პროექტს ცალკე, [illegible] ჟიურის გადაწყვეტილების თანახმად.

13) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქმნეს ქალაქთა კავშირის სატექნიკო განყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3).

(6. 3—3) კომიტეტის თავმჯდომარე რ. არსენიძე.

ტარიელ პეტრეს ძე [illegible] შვილი [illegible] აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 18 აპრილს, ს. [illegible] (სენაკის მაზრა) მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავზე წირვა და პანაშვიდი პირველის დაუვიწყარის მეუღლის და მეორესი ძვირფასი დედის

ელისაბედ იოსეს ასულის გეგენავას

სულის მოსახსენებლად. (1302—1—1)

ღრმად დამწუხრებული [illegible] და ძმა ვარლამ [illegible], აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ივანე სტეფანეს ძე გეგენავას

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება დიდუბის ეკლესიაში ორშაბათს, 19 აპრილს (ახალი სტილით), დილის 11 საათზე. (1300—1—1)

[illegible] დამწუხრებული დედა მარიამ ქრისტეფორეს ასული და მამა ფილიპე [illegible] ძე [illegible], [illegible], მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, აპრილის 18 ს, 1 საათზე ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება 3 [illegible] [illegible] ერობის თავმჯდომარის

ალექსანდრე ფილიპეს ძე ჭილაძის

ს-ლის მოსახსენებლად. (1312—1—1)

გულდამწუხრებული [illegible] და [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავის [illegible] ქალიშვილის

ლიდა ჩოჩიას

უდროოდ გარდაცვალებას. გასვენება და დასაფლავება 18 აპრილს [illegible] (1310—1—1)

[illegible] ცოლი [illegible], გიორგი ბესარიონის ძე, და თინა, ძმა გიორგი, ძმისწულები: ლევანი, ნიკო, პლატონ და [illegible] ბესარიონის ძენი, [illegible]: მაკა, [illegible], ივლიტა და [illegible], [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ [illegible] მეორე კლასის მოწაფის

ივანე (ვანიკა) გიორგის ძის მუსხაძისას,

რომლის გამოსვენება მოხდა თფილისის რკინის გზის საავადმყოფოდან შაბათს, 17 აპრილს, ხოლო 5 საათზე, [illegible], საიდანაც წაასვენებენ მატარებლით № 9 და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 22 აპრილს, სოფ. [illegible],—ზესთაფონის მაზრაში. (1309—1—1

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: დარიკო, [illegible], ნინო ([illegible]), ვალერიან და მიხეილ, [illegible], ცოლი და [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი

გრიგოლ (გიგო) სპირიდონის ძე ლონტი

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, 18 მარტს, დიდუბის ეკლესიაში.

დამწუხრებულნი ცოლი და მაკრინე, [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი

გიგო სპირიდონის ძე ლონტის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულებას. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, 18 მარტს, დიდუბის ეკლესიაში. (1311—1—1)

ცირკი „იპოდრომი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა) პლეხანოვის პროსპექტი მუშტაიდის მახლობლათ.

კვირას, 18 აპრილს 1920 წ.

გაიმართება ორი დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

გაუშვებო დღეს თქვენ მიიღებთ სიამოვნებას

მონაწილეობას იღებს მთელი პირველხარისხოვანი დასი გასტროლიორ ა. ა. დუროვის მონაწილეობით, რომელიც თავის გაწვრთნილ ცხოველებით გამოვა. დასაწყისი დღის 1 საათზე. საღამოს დიდი საზეიმო პროგრამაა. მონაწილეობას იღებენ ახლად ჩამოსულნი მსახიობნი. დღეს დუროვის ახალი ნომრები. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ. დირექცია ს. ნ. ქუთათელაძე, ლუის ბუფალო, ადმინისტრატორი ი. პ. ივანოვი. (1307—1—1)

ქ. თფილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამ წლის 22 აპრილს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია

დელეგატთა ყრილობა

კავშირის ბინაზე (მუშათა სახლი რუსთაველის პროსპექტი, არამიანცის სახლი, ოთახი № 66).

დელეგატები ირჩევა 25 მოსამსახურიდან—ერთი, რომლებიც სათანადო მანდატებით გამოცხადდებიან დანიშნულ ადგილზე.

გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება გამგეობის, 2) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა და შევსება, 3) მიმდინარე საკითხები და 4) ახალი გამგეობის არჩევა. (1308—1—1)

საქართველოს რესპუბლიკის საპყრობილეთა მხლებელთა რაზმი

ამით აცხადებს სათადარიგო ჯარის კაცთა საყურადღებოთ, რომ რაზმის შტატი გაფართოვდა და დამტკიცდა დამფუძნებელმა კრებამ, და ამისთვის მიუწოდებს მსურველთ, რომ ჩაეწერონ რაზმში სამსახურისთვის.

მიღება შეიძლება რაზმის კანცელარიაში (ციხე № 1, მხლებელთა რაზმი) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 11 საათიდან 2 საათამდე. რაზმში მიღების და ჩარიცხვის პირობები შეიძლება გაიგონ რაზმის კანცელარიაში.

რაზმის უფროსი: კაპიტანი დ. ი. ჯაფარიძე

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

მიღებულია

აბრეშუმის თესლი

საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის

„არსენ ოგანიანის“

თეთრი ბაღდადის ჯიშის, რომელიც იყიდება ქუთაისში მხოლოთ

სავაჭრო სახლში „ნ. ნებიეროვი, მ. ორაგველიძე და ვ. იოსელიანი“

მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი. (1280—2—1)

ერობათა კავშირის კომიტეტი

აცხადებს, რომ მის საწყობებში არის შაშხი და ერბო კარგი ხარისხის და იცემა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და კერძო პირებზე ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: ეროკავშირის სადგომი, რუსთაველის პრ., № 24.—კომიტეტი. (6. 2—2)

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს სამსახურში აგრონომებს, მებაღეობის და მევენახეობის ინსტრუქტორებს. თხოვნები მიიღება შემდეგი მისამართით: ქ. გორი, სამაზრო ერობის გამგეობა. (1258—6—4)

ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო

სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის თემების გამგეობებს, თემებისა და რკინის გზის ადმინისტრაციას [illegible] იმ პირთ, ვისაც ეროვნული საბჭოს [illegible] ბათომში [illegible] და [illegible] საბჭოს [illegible], რომლებიც თემების და ადმინისტრაციის აზრით [illegible] სარგებლობენ ხსენებული მოწმობებით. საბჭოს მისამართი ქალ. ბათომი მარინეს ქუჩა № 48. (1160—16—6)

საქართველოს კოოპერატიული ბანკი

([illegible] ქუჩა № 11).

დაიწყებს მოქმედებას 19 აპრილიდან და აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს. ბანკის გამგეობა ამით აცხადებს აქციონერთა საყურადღებოთ, რომ გამოცემული აქციების ნომინალური ღირებულების [illegible] 70 პროც. მათ მიერ შემოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისისა. აქციონერებს, რომლებიც აღნიშნულ ვადამდე არ შემოიტანენ აქციის სრულ ღირებულებას, გამგეობა მოექცევა თანახმად ბანკის წესდების მეორე მუხლისა.

კოოპერატიული ბანკის გამგეობა.

(1204—3—3)

თფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

დანიშნულია 2 მაისს, დილის 11 საათზე საკუთარ ბინაზე, ნაცვლად 14 აპრილს დანიშნულ კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. კრებამ უნდა აირჩიოს გამგ. წევრი, ნაცვლად [illegible], რომელმაც [illegible] თავი დაანება, და ამასთანავე განხილული იქნება მოხსენება საზოგადოების წესდების § 91 შეცვლისა. ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კანონიერი იქნება. (1285—3—2)

კონფერენციის პირველი ნაყოფი

ამიერ-კავკასიის ყველაზე სუსტი და [illegible] ადგილი სომეხთა და მუსულმანთა ურთიერთობა, რომელმაც დღეს [illegible] უმაღლეს ხარისხს მიაღწია. ამ ორი ერის მტრობა [illegible] სტიქიური მოვლენა, რო[illegible] ყველა სისხლ[illegible] ძალის [illegible] და [illegible] მოთხოვს. ამ მიზნით არის მოწვეული თფილისში ამიერ-კავკასიის წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც თავის მუშაობის [illegible] პირობით [illegible] მუსულმანთა და სომეხთა შორის. მართლაც და რამდენად შეიძლება ლაპარაკი „შეთანხმებაზე“ რაიმე, თუნდაც სულ უმნიშვნელო საკითხებში ომის ატმოსფეროში, იმ დროს, როდესაც ამიერ-კავკასიაში [illegible] არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ თავაზიან [illegible], რომლებიც კონფერენციაზე [illegible] სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები [illegible], რომ ორივე [illegible] სახელმწიფო ჩხუბის და მტრობის [illegible] და კეთილმეზობლობის მოსურნე, მაგრამ ყველა ეს საქმით არ იქნება დამტკიცებული, მანამ ორივე [illegible] საქმეში არ გამოიჩენს მშვიდობიანობის სიყვარულს და მანამ მთელის თავის ძალ-ღონით, რაც უნდა დაუჯდეს ეს, არ შეეცდება [illegible] შეჩერებას, რომ სადავო საკითხები გადაწყვიტონ მშვიდობიან-

დღეს

ბოლშევიკების ცნობით ანატოლიაში თურქების მოძრაობაა მოკავშირეთა წინააღმდეგ.

ინდოეთის მუსულმანთა დელეგაცია პარიზს მივიდა.

ფრანგული ცნობით კაპპი პომერანიაში ახალი სახელმწიფო გადატრიალებისათვის მუშაობს.

გერმანიის მთავრობამ საპროტესტო ნოტით მიმართა საფრანგეთის მთავრობას, უმაღლეს საბჭოს და სხა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს საფრანგეთის მიერ გერმანიის ქალაქების ოკუპაციის გამო.

დანიაში გაფიცვები გრძელდება.

სოციალისტების კანონ-პროექტი ახალი გადასახადის შესახებ საფრანგეთის პალატამ უარყო 402 ხმით, 201 წინააღმდეგ.

მოლაპარაკებით, კულტურულ საშუალებებით, დაწყნარებულ სულიერ განწყობილებით, დამშვიდებულ გულით.

პირველსავე თავის სხდომაზე კონფერენციამ მაგრა მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. პირველსავე სხდომაზე მან შეადგინა ორი დელეგაცია, რომლებიც უნდა წავიდნენ იმ ადგილებში, სადაც მუსულმანთა და სომეხთა ომი ყველაზე მეტად არის გაჩაღებული, და უნდა დაუყონებლივ შეაწყვეტინონ სისხლის ღვრა. დელეგაციებში ორივე მებრძოლ მხარეს ჰყავს თავისი წარმომადგენლები და მესამე პირებად იქ შედიან საქართველოს წარმომადგენლები.

დაუყონებლივ შეჩერება სისხლის ღვრისა,—ეს არის ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის მთავარი საზრუნავი, რადგან ეს სისხლის ღვრაა, ყველა მათი უბედურების წყარო, იგია მათი სისუსტის უმთავრესი მიზეზი. სომეხთა და მუსულმანთა ომია, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას საფრთხეში აგდებს. მეზობელთა შორის ომი უსუსტებს ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს თავდაცვის უნარს გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ეს ომი ამავე დროს მათს საერთაშორისო მდგომარეობას არყევს, მათ უკარგავს ძლიერ სახელმწიფოთა თვალში ყოველს პატივისცემას და უცხო ძალას აიძულებს ამიერ-კავკასიის საქმეებში ჩაერიოს. რაც უფრო გრძელდება ეს ომი, მით უფრო და უფრო ხშირდება ძლიერ სახელმწიფოთა ნოტები, მით უფრო და უფრო მაგარი ხდება მათი ხმა, მით უფრო ლაღდება მათი მოთხოვნა. ამას წინათ „შეთანხმების" სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ცალ-ცალკე ნოტა გაუგზავნეს სომხეთის და აზერბეიჯანის მთავრობას. დღეს ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლები უკვე შეერთებულ ნოტას უგზავნიან მათ მეთაურებს იმ თავისებურ კილოთი, რომლითაც ელაპარაკებიან ეს სახელმწიფოები ომში ჩართულს სახელმწიფოებს, მათს ნოტაში ისმის ერთნაირი მოთხოვნილების გამოსვლა.

„დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ვკითხულობთ უკანასკნელ ნოტაში, სურთ დაუყოვნებლივ მიიღონ იმის გარანტია, რომ ერთმა მხარემაც და მეორემაც ნამდვილად გასცეს ბრძანება სისხლის ღვრის შესაჩერებლად." ანტანტის წარმომადგენლები, აშკარად, იძულებულნი არიან ერთნაირი კატეგორიული ტონით გაუწიონ ომში ჩართულ მეზობლებს. და რაც უფრო გაგრძელდება ეს ომი, რაც უფრო აშკარა გახდება, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებს საკუთარი ძალა არ შესწევთ მშვიდობიან, კულტურულ ურთიერთობის დასამყარებლად და ველურობის მოსასპობად, მით უფრო ბუნებრივი ხდება ამიერ კავკასიის საქმეებში ჩარევა ძლიერ სახელმწიფოებისა, მით უფრო ფაქტიურად ირყევა ჩვენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

ყარაბაღის გარშემო

საფრანგეთისა და ინგლისის უმაღლეს კომისრებმა და იტალიის პოლიტიკურმა აგენტმა აზერბეიჯანის მთავრობას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს:

„საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის დიპლომატიურ წარმომადგენლებმა უკვე გაუგზავნეს აზერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობებს შემარიგებელი დეპეშები და მოითხოვეს, რათა მათ უსათუოდ მშვიდობიანის გზით მოაწესრიგონ ის კითხვები, რომლებიც ყარაბაღსა და სხვა ოლქებს შეეხებიან, სადაც მშვიდობიანობას დიდი საფრთხე მოელის. ვინაიდან ორივე დაინტერესებული მთავრობები დასთანხმდნენ საქართველოს მთავრობის წინადადებაზე მოიწვიონ კონფერენცია, სადაც გაირჩევა ყველა სადაო საკითხები,—ზემოთ დასახელებულ მოკავშირე სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლებმა თავის მხრივ გადაწყვიტეს გაგზავნონ ადგილზე მოკავშირეებისაგან შედგენილი კომისია; კომისია ადგილობრივად მოახდენს ანკეტას იმ ფაქტების ხასიათის შესახებ, რომლებიც ორივე მხარეს მოყავს და აგრეთვე მიზნათ ისახავს დარწმუნდეს იმაში, მიიღეს თუ არა დაინტერესებულ მთავრობებმა საჭირო ზომები, რათა შეწყვეტილიყო სამხედრო მოქმედება ყველა ფრონტებზე. ეს პირობა უსათუოდ საჭიროა იმისთვის, რათა თფილისში მოწვეულ კონფერენციის მუშაობა ნაყოფიერი შედეგებით დაგვირგვინდეს. ზემოთ მოხსენებულ დიპლომატიური წარმომადგენლებს ასეთ პირობებში ჰქონდათ საჭიროთ მიიღონ გარანტია იმისა, რომ ორივე მხარის მიერ ნამდვილათ არის გაცემული ბრძანება სამტრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ.

გრაფი დე მარტელი, ო. უორდროპი, პოლკოვნ. გაბბა.

საუბარი იტალიის მისიის მეთაურ პოლ. გაბბასთან.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა იტალიის მისიის მეთაურ პოლკოვნიკ გაბბას. იტალიის და საქართველოს დამოკიდებულების შესახებ.

პოლ. გაბბამ აღნიშნა, რომ იტალიელებმა თავიდანვე მიზნათ დაისახეს დაემყარებინათ პოლიტიკური და კომერციული ურთიერთობა საქართველოსთან. ამ მიზნისათვის საქართველოში ჩამოვიდა იტალიიდან ჯერ სამხედრო და შემდეგ ეკონომიური მისიები. იტალიის მისიის მუშაობამ საქართველოში, იტალიაში კი საქართველოს მისიის მუშაობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის დამყარდა ეკონომიური ურთიერთობა. იტალიის კომერსანტები გზავნიან საქართველოში თავიანთ საქონელს და სამაგიეროთ ნედლი მასალა გააქვთ საქართველოდან.

დღემდე იტალიის და საქართველოს შორის ვაჭრობას კერძო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, იტალიას მიზნათ აქვს დასახული საქართველოსთან და აგრეთვე ამიერ კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობას მტკიცე და ორგანიზაციული ხასიათი მისცეს. სენატორ კონტის მისიას დაკისრებული ჰქონდა ადგილობრივათ გამოეკვლია საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა და მოემზადებინა ნიადაგი ამ ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებისათვის. სენატორმა კონტიმ გააცნო იტალიის მთავრობის წრეებს საქმის ვითარება და იმედია მინისტრ კანდელაკის მისია შესძლებს იტალიის მთავრობასთან ამ საკითხის მოგვარებას.

სენატორ კონტიმ შეისწავლა რა საქართველოს და აზერბეიჯანის სამეურნეო ცხოვრება, დარწმუნდა, რომ რკინის გზის ტრანსპორტის საქმე მეტად მძიმე მდგომარეობაში არის. სენატორმა მაშინვე წინადადება მისცა 30 მილიონ ლირის სესხის აღების შესახებ. ამ ჟამად ამის შესახებ აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს და აზერბეიჯანის მთავრობასთან. რაც შეეხება ზღვის ტრანსპორტს, ის შედარებით კარგად აწარმოებს, მოწყობილია პირდაპირი რეისი ბათომიდან კონსტანტინოპოლით ევროპაში.

პოლ. გაბბამ აღნიშნა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში იტალია, როგორც კომერციული აგრეთვე პოლიტიკური წრეები, გაეცნენ საქართველოს და დაინტერესდნენ მით. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა იტალიის მეცნიერმა იმოგზაურა საქართველოში და გაეცნენ იგი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საქართველოს ეკონომიური მისიის მუშაობას, აგრეთვე ხელი შეუწყო საქართველოს გაცნობას იმ ბროშურამ, რომელიც გამოცემული იყო იტალიურ ენაზე საქართველოს შესახებ.

იტალიის საზოგადოება საქართველოს დიდი სიმპატიით ეპყრობა. კონფერენციაზე იტალიის წარმომადგენლები იცავდნენ საქართველოს ინტერესებს. ასევე მუშაობდა ადგილობრივი იტალიის მისია. რაც შეეხება ბათომის საკითხს, პოლ. გაბბამ განაცხადა, რომ იტალიას ბათომის საკითხის გადაწყვეტა სურს ერთის. იგი საქართველოს უნდა გადაეცეს და ამავე დროს დაცულ უნდა იქნას სომხეთის და აზერბეიჯანის ინტერესებიც. არავითარი ოფიციალური ცნობა ბათომის შესახებ არ მიუღია იტალიის მისიას. პოლ. გაბბას აზრით სწორეა ის ცნობა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „კორიერე დელა სერა"-ში. საბოლოვოთ ბათომის საკითხი გადაწყდება სან რემოს კონფერენციაზე, რომელიც შედგება ნიტტის თავმჯდომარეობით. კონფერენცია გაიხსნება 19 აპრილს. პოლ. გაბბას აზრით უმაღლეს საბჭოს მიერ აზრის შეცვლა ბათომის შესახებ აიხსნება მით, რომ კონფერენცია დარწმუნდა ხალხთა ლიგა ვერ მოუვლიდა ბათომს. ლიგას მოუწევდა ამა თუ იმ პატარა სახელმწიფოებთან შეტაკება. აგრეთვე ამ საკითხში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გამოიხატა 19 მარტის დემონსტრაციებში.

ბაქო

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ნიხრი ხორცზე გაუქმებულია.

— აზერბეიჯანის პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა აზერბეიჯან სპარსეთის ხელშეკრულობა

— უკანასკნელათ მომხდარი დაპატიმრებების გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა შრომის მინისტრს, რომ დაპატიმრება ხდება ისეთ შემთხვევებში, როცა ეჭვს გარეშეა დამნაშავეს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება, რომ ის მუშაობდა არსებული წყობილების დასანგრევათ.

— ყუბის მაზრაში სამხედრო წესები გამოცხადდა. გენ. გუბერნატორათ დაინიშნა ამირ ხან ხოისკი. ყაზახის გენ. გუბერნატორათ დაინიშნა ისკანდერ ბეგ მუფტოვი.

დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფის სააგენტო)

17 აპრილი.

ბოლშევიკების ცნობები

პირველი მაისის მოლოდინში.

პირველ მაისს პარიზს მოელის სრული სიბნელე, რადგანაც გაზის ქარხნისა და ელექტრონის სადგურის მუშებს მუშაობის შეწყვეტა სურთ.

გენ. იუდენიჩი დანიაში.

დანიის გაზ. „სოციალ-დემოკრატი" იუწყება: კოპენჰაგენში ჩამოსული იუდენიჩი მონაწილეობდა ხანგრძლივ თათბირში, რომელიც მარიამ თეოდოროვნას ასულის დასწრებით მოხდა მეფის სასახლეში.

ანატოლიაში.

ოდესა. კონსტანტინეპოლიდან მოსული ცნობით მთელ ანატოლიაში თურქების მოძრაობა ყოფილა მოკავშირეთა წინააღმდეგ. ინგლისელებმა გააგზავნეს რაზმები ჯავშანოსნებითა და ტანკებით.

გაფიცვა ლოდზში

ხმელნიკი 14 აპრილი. ქ. ლოდზში პურის მეტისმეტი სიძვირის გამო გაიფიცნენ ტრამვაისა და ელექტრონის სადგურის მუშები. გაფიცვას მიემხრნენ ყველა ფაბრიკისა და ქარხნის მუშები

ოკუპაციის გამო

ნაუენი. ბადენის პრინცმა მაქსმა განაცხადა: საფრანგეთის ოკუპაცია არის დიდი ხნის ოცნების განხორციელების ცდა საფრანგეთის სამხედრო პარტიისა რომელსაც სურდა გერმანიისაგან ჩამოეშორებინა რეინის ჯერ მარცხენა და შემდეგ მარჯვენა ნაპირი და შემდეგ გერმანიისათვის დაეშორებინა სამხრეთი და ჩრდილოეთი გერმანია. გერმანულ რადიოს ცნობით საფრანგეთის ჯარები ფრანკფურტში მეტად უხეშად იქცევიან.

სამხედრო ცნობა

დასავლეთის ფრონტი მოზირის რაიონში ჩვენ უკუ ვაგდეთ მტრის შემოტევა. ლეტჩიცისა და ნ. ბუზიცის მიდამოებში სასტიკი ცვალებადი ხასიათის ბრძოლაა. სამხრეთის ფრონტი ყირიმის მიდამოებში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ გრძელდება.

კავკასიის ფრონტი. შავი ზღვის სანაპიროზე ჩვენმა ნაწილებმა მტერი გამაგრებულ პოზიციებიდან გამორეკეს და ლაზარევსკაია დაიკავეს. აღმოსავლეთის ფრონტი. კობდინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ბლაგოვეშჩენსკის მონასტერი.

შრომის ფრონტი.

„შრომის კვირის" გამო „პრავდა" სწერს: რადაც უნდა დაგვიჯდეს, უახლოეს სამ-ოთხ კვირაში უკანასკნელი ძალა უნდა ვიხმაროთ, რომ მომავალ ზამთრისათვის თავი დავიზღვიოთ სიცივისა და შიმშილისაგან. იმდენი უნდა ვიმუშაოთ, რომ ყველას მეტი ჰქონდეს პურიც, ნავთიც, ხორციც და წიგნებიც. კომუნიზმი იმაზე ხომ არ არის დაფუძნებული, რომ მარტო კარგი სიტყვებით იკვებოს თავი. კომუნიზმის განამტკიცებლათ საჭიროა [illegible] სოციალიზმი კი, თვით კომუნიზმი კი—ეს სიღარიბის სამეფო კი არ არის, არამედ სიმდიდრისა და კეთილდღეობის. ჩვენ არა გვსურს კომუნისტურ სიღარიბეში ვიცხოვროთ, ჩვენ კომუნისტური სიმდიდრე გვსურს.

(ფრანგული რადიო სადგურიდან)

გერმანიის პროტესტი.

გერმანიის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას, უმაღლეს საბჭოს და ერთა ლიგის მთავარ სამდივნოს პროტესტით მიმართა საფრანგეთის მიერ გერმანიის ქალაქების ახალი ოკუპაციის გამო.

რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ.

რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ ნორვეგიის გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" სწერს: თუ ნორვეგიას სურს რუსეთთან დამოკიდებულობის განახლება, ნორვეგიის მთავრობამ უდაოთ უნდა აღიაროს საბჭოთა მთავრობა. რაც უფრო ადრე გადაწყდება ეს საკითხი, მით უფრო სასარგებლოა ნორვეგიისათვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნორვეგიის და რუსეთის შორის დამოკიდებულობა ფაქტიურად ჩრდილოეთში უკვე მოხდა ამ გვარად აღდგენილ შესაძლებელია, რომ ქრისტიანია შეიქნეს რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულობის მთავარ ცენტრათ.

გაფიცვები დანიაში.

დანიაში მრავალ ადგილას გაფიცვები გრძელდება.

ფრანგული ცნობები.

შრომის კანონი საარის ოლქში.

საერთაშორისო შრომის ბიუროს დირექტორმა, დეპუტატმა ტომამ ინახულა საარის ოლქი, რათა სავსებით გაატაროს ცხოვრებაში ვაშინგტონის კონგრესის მიერ დადგენილი შრომის კანონი.

სახელმწიფო გადატრიალების მოლოდინში.

გერმანიიდან მოსული ახალი ცნობით, პომერანიაში კაპპი ამზადებს ახალ სახელმწიფო გადატრიალებას. გუშინ „ფოსიშე-ცაიტუნგმა" ჩამოთვალა მთავარი ბელადები ამ შეთქმულობის, რომლებიც ცდილობენ იარაღის შეგროვებას და რომელთაც ანტანტის წინააღმდეგ საბჭოებთან შეერთება სურთ. ბალტიისა და რურის ჯარი სამოქალაქო უფლების პირებისადმი დამორჩილებაზე უარს აცხადებენ.

თათბირი ახალი გადასახადების შესახებ.

საფრანგეთის პალატაში ხუთშაბათს განაგრძობდნენ ახალი გადასახადების შესახებ თათბირს. პალატამ მოისმინა ბლუმს, რომელმაც სოციალისტების პროგრამა წაიკითხა: ბრიანმა განაცხადა: მოკავშირეებმა ჯერ კიდევ 1916 სახ. ერთხმად მიიღეს პრინციპი საერთაშორისო ფინანსიური სოლიდარობისა. მაშინ მოკავშირეები ფიქრობდნენ ყველა თავისი ხალხის, მასალისა და ფულის რესურსები საერთოთ გაეხადათ. ეს იყო თეორია, ამჟამად, რომელიც უნდა ბევრ დღეს, და მე დარწმუნებული ვარ, იმ დღეს, როდესაც ინგლისი და ამერიკა დარწმუნდება, რომ საფრანგეთი დაინგრევა ამ საერთო სოლიდარობის უქონლობით, ეს მოწოდება არ დარჩება უპასუხოთ. ბლუმის და ბოლის კანონ-პროექტი სოციალისტებისა უარყოფილ იქნა 402 ხმით 201 ხმის წინააღმდეგ. „ჟურნალ" მოწინავეს უთმობს ფინანსიურ საკითხს. გაზეთი აღნიშნავს, თუ რო

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა*)

3. ექსტერიტორიალური ავტონომია.

ეროვნულ საკითხის გადაჭრა ტერიტორიალურ გამოცალკევების საშუალებით—ეს ჯერ არაფერს ახალს არ წარმოადგენს: იგი უკვე განხორციელებულია სხვადასხვა სახელმწიფოთა ცხოვრებაში, მას აქვს უკვე თავისი პრაქტიკა, თავისი ისტორია, მას ჰყავს თავისი კლასიკოსები და თავისი მოწინააღმდეგენი პოლიტიკაში და მეცნიერებაში, და ჩვენ უკვე ვიცით, რის თქმა შეიძლება მის სასარგებლოდ და მის საწინააღმდეგოდ. მთელი საკითხი აქ იმაშია, თუ რამდენათ ახერხებს იგი ეროვნულ უმცირესობათა უზრუნველყოფას გამოცალკევებულ ტერიტორიაზე, რამდენად მისაღებია საკითხის დაყენება ჩვენი რესპუბლიკის კონკრეტულ პირობებში, რამდენათ გადაჭრის ეს იმ მიზნებს, რომლებიც დასახული აქვს რესპუბლიკას, და რამდენათ ხელს შეუწყობს ან რამდენათ დაარღვევს ეს რესპუბლიკის არსებობას, სხვანაირად რომ ვთქვათ, მთლიანობას სხვა ეროვნულ უმცირესობათა მიერ წარმოდგენილი პროექტები, რომლებსაც საფუძვლად დადებული აქვთ ექსტერიტორიალური, პერსონალური პრინციპი.

ამ პრინციპსაც უკვე კარგა ხანია იცნობს დასავლეთ ევროპის მეცნიერება, მაგრამ იცნობს მას მხოლოდ თეორიულად, რადგან ცხოვრებაში იგი ჯერ არსად გატარებულა, ცხოვრების პრაქტიკაში იგი ჯერ ნაცადი არ არის, მას არ აქვს არც ისტორია, არც გამოცდილება, ყველ ფერი, რაც მასზე დაწერილა, განყენებულ მსჯელობას ჯერ არ გასცილებია. დღეს პირველად დადგა ეს პრინციპი პრაქტიკული განხორციელების საკითხად: საქართველოს რესპუბლიკის არაქართველმა მოქალაქეებმა პირველად მიმართეს სახელმწიფოს, რომ ეროვნულ საკითხის გადაჭრას პერსონალური პრინციპი დაუდონ საფუძვლად. ის გარემოება, რომ ჩვენ რესპუბლიკას სწორედ პირველს ხვდა წილად ამ პრინციპის გასინჯვა მის პრაქტიკულ განხორციელების მხრივ, გვავალებს ჩვენ, რომ მას მოვეკიდოთ ფრთხილად, მთელის გულისყურით, რომლითაც პირველხარისხოვანს და ახალს საკითხებს ეპყრობიან.

რას ნიშნავს ეროვნულ საკითხის გადაჭრა პერსონალური პრინციპის მიხედვით? საუკეთესო წარმომადგენელი ამ მიმართულებისა—თვით ბაუერი—აშკარად გვიხსნის ამ პრინციპის არსებას:

„პერსონალური პრინციპის მიხედვით ნაციის კონსტრუქცია ხდება არა როგორც ტერიტორიული კორპორაციისა, არამედ როგორც ცოცხალ პირთა, პერსონალური კავშირისა. საჯარო უფლებრივ ნიადაგზე მოწყობილი ერი მხოლოდ იმ მხრივ იქნება არა ტერიტორიული კორპორაცია, რომ მისი მოქმედება არ განისაზღვრება სახელმწიფოს საზღვრებით. სახელმწიფოს შიგნით ისეთი წესი კი არ იქნებოდა, რომ ერთს ოლქში ჩეხს ჰქონდეს უფლება, მეორეში,—გერმანელს, არამედ ყოველი ერი, სადაც უნდა ცხოვრობდეს მისი წევრი, შეადგენდა კორპორაციას, რომელიც დამოუკიდებლათ განაგებდა თავის ეროვნულ საქმეებს. ერთსა და იმავე ქალაქში იცხოვრებდნენ ერთი-ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთის ხელ შეუშლელად ორი ან რამდენიმე ერი, მშვიდობიანად განავითარებდნენ თავის თვითმმართველობის ორგანოებს, მოაწყობდნენ თავის განმანათლებელ დაწესებულებებს,—სწორედ ისე, როგორც კათოლიკები, პროტესტანტები, ებრაელები თავისუფლად განაგებენ რომელსამე ქალაქში თავის სარწმუნოებრივ საქმეებს". *)

ეროვნული კავშირები ისე უნდა მოეწყოს, როგორც ყველა სხვა კავშირები. ჩვენ ვიცით, რომ, მაგალითად, სარწმუნოებრივი კავშირი არსებობს სრულიად დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ცხოვრობს მისი წევრი. ამ პრინციპის მიხედვით, დამოუკიდებლათ ტერიტორიისა, თითოეულ ეროვნების ყველა წევრებმა უნდა შეადგინონ ერთი ეროვნული კავშირი, რომელიც გაუძღვება თავის ეროვნულ და კულტურულ საქმეებს. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ეროვნულ საკითხის გარჩევის დროს წითელ ზოლივით იყო გატარებული ეს დებულება ეროვნულ კავშირისა სარწმუნოებრივ კავშირთან. ვიქტორ ადლერმა აშკარად გამოხატა ეს იდეა: „თვითგამორკვევის უფლებამ, ამ პროექტით, უნდა მიანიჭოს პიროვნებათა ჯგუფებს ისეთ, როგორც მინიჭებული აქვს საეკლესიო მრევლს". მეორე ორატორმა—ელენბოგენმა—ასეთი განმარტება მისცა ამ პრინციპს: „ჩვენ არ მოგვეთხოვება უთუოდ ტერიტორიულ პრინციპი, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ ვეთ იმისა, რომ დაარსდეს ეროვნული ერთეულები ექსტერიტორიალურ; ეს ერთეულები დაარსდება ნებაყოფლობითი გაერთიანების ნიადაგზე და თავის კულტურულ საქმეებს მოაწყობენ სრულიად ავტონომიურად, თავის ნაციონალური კურიის ფარგლებში სწორედ ისე, [illegible] ბოლოდ გვსურს".

ქართულ ლიტერატურაში პერსონალური პრინციპის ასეთი განმარტება მოგვცა ნოე ჟორდანიამ:

„ნაციონალურ ერთეულში შედის ყველა ის, ვინც ამ ნაციას სცნობს და თავისად აღიარებს. ქართველი შედის ქართველთა ერთეულში, სომეხი—სომხებისაში, თათრები—თათრებისაში. ასეთი თავყრილობა არ არის შეკავშირებული განსაზღვრულ ტერიტორიასთან. ქართველი საქართველოში მცხოვრები შედის ასეთ ერთეულში ისე, როგორც ქართველი ბაქოს, პეტერბურგის, ტფილისის და სხვა ადგილების". *)

ამნაირად, პერსონალური პრინციპი მოითხოვს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიის მანძილზე გაფანტულმა ამა თუ იმ ერის ყველა წარმომადგენლებმა დაარსონ ერთი კავშირი, რომელიც თითონვე უნდა უძღვებოდეს თავის ეროვნულ-კულტურულ საქმეებს; ეს კავშირი იქნება ისეთივე, როგორიც არიან სარწმუნოებრივი კავშირები. თითქმის ყველა პროექტები, რომლებიც კი დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში წარმოადგინეს ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებმა, სწორედ ამ პერსონალურ ნიადაგზე არიან აშენებულნი.

მაგრამ აქ არ შეიძლება არ დაისვას ერთი კითხვა: დემოკრატიულ სახელმწიფოში ხომ აღიარებულია კავშირების სრული თავისუფლება? ვინ დაუშლის ამა თუ იმ ერის წევრებს როგორც უნდათ შეკავშირდნენ და რანაირი კულტურულ-ეროვნული საქმეებიც უნდათ აკეთონ? დემოკრატიულ სახელმწიფოში არავის აზრათ არ მოუვა განსაკუთრებით აღძრას საკითხი იმავე სარწმუნოებრივ კავშირების დაარსების შესახებ იმავე, როგორც არავის ფიქრათ არ მოუვა სამეცნიერო კავშირების, ან ტეხნიკურ საზოგადოების, ან სამეურნეო საზოგადოების დაარსების შესახებ. მაშ რა თავის არის საჭირო სწორედ ეროვნულ კავშირების გამოყოფა საკითხის სპეციალურ განხილვით? სწორედ ეს გარემოებაა იმის მაუწყებელი, რომ ეროვნული კავშირი პერსონალურ პრინციპის წარმომადგენელთა გაგებით, არ ყოფილა მთლად ისეთი კავშირი, როგორიც არის სარწმუნოებრივი და სხვა ყველა კავშირები, რომ მას რაღაც განსაკუთრებული თვისებები და მიზნები აქვს.

ეს უკანასკნელნი სრულიად თავისუფალი, კერძო სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი კავშირებია. ისინი დგანან სახელმწიფოებრივ მექანიზმის გარეშე, არსებობენ კერძო შეთანხმების ნიადაგზე, თავისუფლად არსდებიან, თავისუფლად უქმდებიან, პირდაპირის სახელმწიფო ფუნქციებს არ ასრულებენ, საკუთარი ქონება აქვთ, საკუთარი თანხით არსებობენ, სახელმწიფო მოვალე არ არის მათ აძლიოს რაიმე დახმარება. სახელმწიფო მათ საქმეში ერევა იმდენათვე, რამდენადაც ერევა ყოველ იურიდიულ პირის კერძო საქმეებში. ამნაირ კავშირების უფლებებს რომ არ სცილდებოდეს ეროვნული კავშირი, მისთვის არავითარი განსაკუთრებული ზრუნვა არ იქნებოდა საჭირო და არავითარი პროექტების შემუშავება არ დასჭირდებოდა ეროვნებათა უმცირესობის უფლებათა ამ მხრივ უზრუნველსაყოფად.

ეროვნული კავშირი, როგორც ეს ესმით ნაციონალურ კულტურულ ავტონომისტებს, არსებითად განსხვავდება როგორც სარწმუნოებრივ, ისე სხვა თავისუფალ კავშირებისაგან. პერსონალური პრინციპის მომხრენი სწორედ იმას მოითხოვენ, რომ ეროვნული კავშირი იყოს საჯარო უფლებებით აღჭურვილი ორგანიზაცია. უკვე ო. ბაუერის ზემოთ მოყვანილ სტრიქონებში ერები განხილულია, როგორც „საჯარო უფლებრივ ნიადაგზე მოწყობილი". რას ნიშნავს ეს?

4. საჯარო უფლებრივი თუ თავისუფალი ეროვნული კავშირები?

იურიდიულ მეცნიერებაში განსაზღვრულია განსხვავება „კერძო" და „საჯარო" უფლებებს შორის. აი როგორ აქვს წარმოდგენილი ეს განსხვავება პროფესორ გეორგ იელინეკს:

„განსხვავება კერძო და საჯარო უფლებებს შორის დაფუძნებულია იმ ძირითად იდეაზე, რომ კერძო უფლებაში ცალკე პიროვნებანი ერთი ერთმანეთის პირისპირ დგანან, როგორც ერთმანეთს შორის პრინციპიალურად დამოკიდებულებაში მყოფნი, ამიტომ ეს უფლება აწესრიგებს მათს, როგორც ინდივიდთა ურთიერთობას, საჯარო უფლება კი აწესრიგებს ხელმწიფების სხვადასხვა სუბიექტების ურთიერთობას ან ორგანიზაციას, მის ფუნქციებს და მათს ურთიერთობას იმათთან, ვინც ამ ხელმწიფების ქვეშ იმყოფებიან". *)

რუსი მეცნიერი პროფ. ელისტრატოვი—ამ განსხვავებას ასე განმარტავს: „საჯარო უფლებრივ ნორმებს ეწოდება ის უფლებით უზრუნველყოფილ შესაძლებლობას, საჯარო უფლებრივ გამოყენებას დაკისრებული ვალდებულება უფლებაზე დაფუძნებული ამა თუ იმ პირის მოვალეობას—გააკეთოს ეს თუ ის საქმე, ან თავი შეიკავოს ამა თუ იმ მოქმედებისაგან *). „საჯარო უფლებაში, ამბობს იგივე პროფესორი, დიდ როლს თამაშობს სწორედ jus codens" (ე. ი. აძულებითი კანონი). ამ დარგის დამახასიათებელი თვისებაა „მბრძანებლობითი ნორმა", რომელიც „თავის მხრივ შეუძლებელთ ხდის უფლებრივ პირის ნებაყოფლობას**)

პროფესორი შერშენევიჩი ამბობს, რომ „თავის უფლებათა განხორციელებისათვის უფლებრივანს პირს მიეცა თავისუფლება, სუბიექტური (ე. ი. კერძო) უფლებებისათვის კი, რომელიც სრულიად შესაძლებლობას ნიშნავს და არა ვალდებულებას, ეს დასკვნა შეუსაბამო იქნებოდა" ***).

„მბრძანებლობითი ნორმა", „იძულება", „ნებაყოფლობის" უარყოფა, „მოვალეობა" აი, მაგალითად, ის თვისებები, რომლებიც ახასიათებენ საჯარო უფლებას და ანსხვავებენ მას კერძო უფლებისაგან. და რადგანაც ამ „მბრძანებლობის", „იძულების", „მოვალეობის" განმახორციელებელი ძალის ერთად ერთი წყარო და სათავე სახელმწიფოა, ამიტომ საჯარო უფლების დამახასიათებელ თვისებათა სათავე ყოველი სახელმწიფო უფლებაა. აქედან წარმოსდგება განსხვავება იმ კავშირისა, რომელიც საჯარო უფლებებით არის აღჭურვილი, და იმ კავშირს შორის, რომელსაც კერძო უფლებრივი ხასიათი აქვს და საჯარო უფლებებს მოკლებულია.

„საჯარო უფლებით აღჭურვილი კავშირი",—ეს ნიშნავს იმას, რომ

---

*) იხ. „ერთ." № 84

*) „Нац. вопросъ и с-д" გვ. 368.

*) იხ. ნ. ჟორდ. „ნაციონალური კითხვა ჩვენში" 71.

*) იხ. „Право соврем. гос." გვ. 249

*) იხ. მისი Администр. право გვ. 87.

**) იქვე, გვ. 90.

***) „Общая теорія права" გვ. 572.

გორი გაძლიერებული ძალა სპირი საფრანგეთს, რომ ომისაგან შერყეული ფინანსიური მდგომარეობა აღადგინოს. ომამდე... (დამოუკიდებლობა) პარლამენტში წარმოთქმული სიტყვებისაგან ჩანს, რომ არც ერთს ორატორს ეჭვი ეპარება ქვეყნის აღდგენა-ამაღლებაში. ჯერ 1920 წლის პირველი 3 თვე დამამტკიცებელია იმისა, რომ დაიწყო ჩვენი ქვეყნის აღორძინება. ხაზინის დასაფარავად ამ თვეებმა მოგვცა 1,008 მილიონი, პირველ ორ თვეში ჩვენმა ექსპორტმა მოგვცა ზედმეტი 1344 მილიონი. ჩვენი მწვანილეული ბაღები მიისწრაფიან თავის დიდ კლასის შევსებისაკენ. ის მუშაობს ფაქტებში, ყოველდღიური დაბრკოლებები ვერ აჩერებენ მის წინსვლას. ჩვენი მოკავშირეები მალე გაიგებენ, რომ ყველაზე ხელსაყრელი სპეკულაცია მათთვის ეს ის იქნება, რომ ჩვენ გაგვიხსნან ფართო კრედიტი და ხელი შეგვიწყონ ჩვენი ვალუტის აწევას.

ხორბლის ექსპორტი.

კაზაბლანკიდან იუწყებიან, რომ მთავრობა ამ ქამად სასოფლო სამეურნეო ხორბლის ექსპორტის საქმეებს აწყობს. ფურნისმა (დამოუკიდებლობა) განაცხადა, რომ ეხლანდელი მდგომარეობა განსაკუთრებით დამაკმაყოფილებელია.

შეიძლება ნება დავრთოთ, რომ 1920 წელში გაზიდონ 50,000 ხარი და 100,000 ცხვარი თანახმად... (გამოტოვებულია)

ინგლისის დელეგაცია პარიზში.

ინგლისიდან პარიზში მუსულმანთა დელეგაცია ჩამოვიდა.

ბელგია და სან რემოს კონფერენცია.

ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ იტალიის მთავრობამ ბელგიის მთავრობა სან რემოში კონფერენციაზე მიიწვია. ბელგიის წარმომადგენლებად იქნებიან საგარეო საქმეთა მინისტრი გიმანსი და სახელმწიფო ეკონომიის მინისტრი ჟასპარი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

თბილისის ქალაქის ბუხრები. საფუძვლით გალასასიდის საკითხი ქვორუმის უქონლობის გამო ამ თვეს ნახევრის განმავლობაში სამჯერ დასმული საბჭოს დღიურ წესრიგში გადადებული დარჩა. ამის გამო ქალაქის საფინანსო ყოველდღიურად 100,000 მანეთამდე ჰკარგავს. გამგეობის სახელით ქალაქის მოურავი ქვემოხსენებულ საბჭოს ხმოსნებს მიმართავს თხოვნით, 19 აპრილს საღამოს 8 ს. საბჭოს სხდომაზე ამ საკითხის გადასაწყვეტად.

◆ **გორის მაზრის სახალხო გვარდიის** წარმომადგენელთა კონფერენციამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას, მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

◆ ქუთაისიდან რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „მიწყნარებული ვართ გორის კატასტროფით. აქ დახმარებას აწყობენ. ქორდულიანი.

ექიმი ქორელ ლაბი ითვლება საქართველოს წითელი ჯვრის წარმომადგენლად საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოებაში.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს საღამოს 6 ს. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დაინიშნება შემდეგი მოხსენებები: 1) განყოფილება (ნაძალადევი) დამფუძნებელ კრების არჩევნები: 2) 5 განყოფ. (ვ. ნინოს რაიონი) ფინანსთა მინისტრის ამხანაგის პროფ. ჟვანიანის. დასწრება ყველას შეუძლია. მომავალ კვირიდან მოიმართული ლექციები ახალი გაწესრიგებული.

◆ **მოხსენებას ბაქ. თეზაიაია** და ბიოლოგიისა, რომელიც გუშინ ვერ შედგა ტექნიკური მიზეზების გამო, გადადებულია 25 აპრილისათვის იმავე შენობაში.

◆ **აფთიაქებში მომუშავეთა ყრილობა.** ვინაიდან საქართველოში მოსამსახურე ფარმაცევტთა ყრილობიდან 1918 წელში არჩეული ცენტრი დაიშალა, სხვა და სხვა აფთიაქებში მოსამსახურეთა კავშირების დავალებით, თბილისის პროფესიონალურმა კავშირმა თავს იდო ინიციატივა სრულიად საქართველოს აფთიაქებში მოსამსახურეთა ყრილობის მოწვევისა. გამოყო თავის გამგეობიდან რამდენიმე პირი, შედგა საორგანიზაციო ბიურო, რომელიც შეუდგა უკვე მუშაობას და გადაწყვიტა ამა წლის 23 მაისისათვის მოიწვიოს საქართველოს რესპუბლიკის კერძო და საზოგადოებრივ აფთიაქებში მომუშავეთა ყრილობა.

◆ **ბოტანიკური ექსკურსია.** კვირას, 18 აპრილს საქართველოს მუზეუმის ბოტანიკური განყოფილების გამგის ბ. შიშკინის მეთაურობით აწყობს ბოტანიკურ ექსკურსიას თელეთის ქედზე. ექსკურსიაში მონაწილეობის მსურველნი უნდა გამოცხადდნენ საქართველოს მუზეუმში (ლორის მელიქის ქუჩა № 10) დილის 9 საათისათვის. უკან დაბრუნება განზრახულია საღამოს 5—7 საათამდე.

◆ **სავალდებულო დადგენილება.** 19 აპრილიდან ძალაში შევა ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება რესტორნებისა და დუქნების ჩაკეტვის 11 საათზე დახურვის შესახებ. ხსენებული დადგენილება არ შეეხება თეატრებსა და კლუბის წარმოდგენებს.

[illegible] რის გარშემო. აპრილის [illegible] ის სამინისტროს ბინაზე მინ. ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის და დრამატიულ საზ. პრეზიდიუმის წევრებმა, სახელმწიფო თეატრის კომისარმა და სხვებმა. თათბირზე განხილულ იქნა ქართული დრამატიული სტუდიის დაარსების და სწავლის მეთოდის საკითხი და არჩეულ იქნა საგანგებო კომისია, რომელმაც დაწვრილებითი მოხსენება უნდა წარუდგინოს განათლების მინისტრს. ქართულ თეატრის მომავალ სეზონის თაობაზე ახლო მომავალში მოწვეულ იქნება საგანგებო კრება.

კრებები.

დღეს, 18 აპრილს, დილის 10 ს., მე 6 რაიონის მუშათა კლუბის მე 2 განყოფილების შენობაში (ბებუთოვის ქ. 22) დანიშნულია ამავე რაიონის კოლექტივის, მცირე კოლექტივის, ქალთა კოლექტივის წევრების შეერთებული სხდომა, მოსმენილ იქნება პარტიულ ყრილობის შესახებ მოხსენება.

— სამშაბათს, 2 აპრილს, საათის 4 მოხდება მე 7-დე რაიონის კოლექტივის არაჩვეულებრივი სხდომა. განსახილველი ფრიად საყურადღებო კითხვები, ყველამ პარტიულ მოწინავე ამხანაგებს დაესწრონ.

— სამშაბათს, 20 აპრილს, საღ. 5 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის ბინაზე შესდგება მესამე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საორგანიზაციო კრება.

— კვირას საღ. 4 ს. ჩუღურეთის ახალ-გაზრდა მარქსისტთა კრება შესდგება.

კავშირი სახელმწიფოს აპარატის ნაწილია, რომ მას სახელმწიფო დაწესებულების ხასიათი აქვს და მაშასადამე ყოველი მოქალაქე, რომელიც ამ დაწესებულების უწყებაშია, მოვალეა ისევე ემორჩილებოდეს მას, როგორც იმორჩილებოდა ყოველივე სახელმწიფო დაწესებულებას მის უწყებაში მყოფნი მოქალაქენი. ამ დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ფარგლებში გამოცემული ყოველივე დადგენილება მოქალაქეთათვის ისევე სავალდებულოა, როგორც ყოველივე სხვა სახელმწიფო დაწესებულების, მის სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები ისევე იძულებით ატარებენ ცხოვრებაში, როგორც ყოველ სავალდებულო დადგენილებას. მის აღსრულებისათვის მოქალაქე პასუხისმგებელია და მისი აუსრულებლობისათვის კანონით ისჯება, როგორც ყოველ სახელმწიფო დაწესებულების განკარგულების აუსრულებლობისათვის. თუ ეროვნულ კავშირს საჯარო უფლება მიენიჭება, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს მინიჭებული თავისი ნაწილი ხელმწიფებისა, ყოველ მის წევრისათვის სავალდებულოა მის განკარგულების დამორჩილება, ამ მორჩილებას იძულებით ატარებენ სახელმწიფოს ან თავისი ორგანოები, რომლის [illegible] მის ვალდებულებას [illegible] შეასრულებს, ყოველივე [illegible] განკარგულების აღსრულება.

იგივე გ. იელინეკი ამბობს, რომ არის ორნაირი საკავშირო ძალა-უფლება: „მბრძანებელი" საჯარო უფლებრივ კავშირისათვის და „არა მბრძანებელი" კერძო-უფლებრივ კავშირებისათვის. „უბრალო არა მბრძანებელ საკავშირო ძალა-უფლება ხასიათდება იმით, რომ თუმცა მას შეუძლიან სავალდებულო დადგენილება გამოსცეს თავის წევრთათვის, მაგრამ თავის ძალით და საშუალებით იგი ვერ შესძლებს აიძულოს წევრები, რომ მისი ბრძანება აასრულონ" *)

ამნაირად გაგებულ საჯარო უფლებებს მოითხოვენ ეროვნულ კავშირებისათვის ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის ყველა მომხრენი; თვით ტერმინი „ავტონომია" უკვე ამის მომასწავებელია. რ. შპრინგერი, რომელმაც პირველად წამოაყენა ეროვნულ კულტურულ (ექსტერიტორიულ) ავტონომიის იდეა, ასეთს გამოხატულებას აძლევს თავის აზრს: „ერი ვერ მიაღწევს თავის ინტერესების—სპეციფიური ეროვნულ ინტერესების—დაცვას ცალკე პირთა ნებაყოფლობით; იგი ვერ განახორციელებს ამას ვერც თავისუფალ კავშირების საშუალებით; იგი უნდა წარმოადგენდეს „ავტონომიურს" (უფლება მოსილ) იძულებითი კავშირს, ან—რაც ამასვე ნიშნავს—იგი უნდა ასრულებდეს ზოგიერთს სახელმწიფოებრივს ფუნქციებს **).

ამ იდეას სრულიად იზიარებს ოტტო ბაუერი: მისი აზრით „ყოველი ერი ოლქში, თემში, მხარეში, და ბოლოს სახელმწიფოში უნდა მოეწყოს, როგორც საჯარო უფლებიანი კორპორაცია, რომლის მოვალეობაც იქნება გაუძღვეს ერის კულტურულ საქმეებს, ააშენოს მისთვის სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრები, მუზეუმები, სახალხო უნივერსიტეტები, მისწოდოს თანამემამულეთ იურიდიული დახმარება" **).

„ებრაელთა სოც. მუშათა პარტიაც" სავსებით ეხმარება ამ აზრს: მ. ბორისოვის აზრით,—„ეროვნულ კავშირში მყოფ პირთა მიმართ, ეს კავშირი აღჭურვილი იძულებითი ორგანიზაციის ყველა ატრიბუტებით, სცემს სავალდებულო დადგენილებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში" ***).

ამნაირად საჯარო უფლების მინიჭება ითვალისწინებს თითქმის ყველა პრეტენზიები, რომლებიც წარმოადგენილი ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების მიერ. რუსეთის ეროვნულ საბჭოს პროექტის მე 3 მუხლში ვკითხულობთ: „ეროვნული უმცირესობანი, აწყობენ კავშირებს ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებით, რომლებიც უნდა აირჩიონ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო საარჩევნო სისტემის თანახმად. ეს კავშირები აღიარებულნი არიან კერძო და საჯარო უფლება-მოსილ და მომქმედუნარიან *) (дѣеспособный) იურიდიულ პიროვნებათ".

სომხეთა ეროვნულ საბჭოს მიერ შემუშავებულ თეზისებში ერთი ასეთია: „ნაციონალური კრება და საბჭო საჯარო უფლებიანი ორგანოებია" (თეზისი მე-4).

ებრაელთა ორგანიზაციის მიერ შედგენილ პროექტის პირველ მუხლში ნათქვამია: „ებრაელთა ეროვნული უმცირესობა საქართველოში კავშირშია შეერთებული, აქვს თავისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები და წარმოადგენს საჯარო და კერძო უფლებიანს იურიდიულ პიროვნებას და ნაწილია ებრაელთა მთელის ერისა."

ეროვნულ კავშირის აღჭურვა საჯარო უფლებებით, მაშასადამე, ნიშნავს მის გადაქცევას სახელმწიფო ხასიათის დაწესებულებად, მის მოწყობას სახელმწიფო დაწესებულების წესზე და მის აღჭურვას იმ უფლებებით, რომლებიც დამახასიათებელია სახელმწიფო დაწესებულებისათვის. აქედან მრავალი დიდ მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს.

ლევან ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) „Право совр. госуд." 279.

*) „Нац. пробл." 33—4.

**) „Нац. вопр. и с. д." 371.

***) „Серпъ" I 27.

*) იხ. მისი Общая теорія права, გვ. 572.

**) „Право соврем. гос." გვ. 279.

ᲮᲐᲠᲘᲢᲝᲜ ᲕᲐᲠᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ

I.

ᲓᲐᲙᲚᲣᲚᲘ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ

ამაღამ ქარი სჩვანაირია
და მთვარე თითქოს არის დაკლული.
თუ შუაღამე გადაირია
ცისკარი მღვდა ფუჩე ფერ ნაკლული,

მე გადამილევს შენი ხსენება
და მარტოობას ვეღარ ავიტან.
მაგრამ გაჩნდება უცხო ჩვენება
გამიყვანს ღამის მე სადღაციდან.

ვარსკვლავთა თეთრი ბერბეშალები
დაირღვევიან ცის კამკამებით,
როცა დღე არის ხალხს ვემალები
და მეშინია მე დაღამების.

II.

ᲦᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲓᲝᲑᲐ.

ხანდახან ღამემ მეტად საამოთ
თავის ფიქრების იცის განდობა.
ის მოვა ჩემთან ყოველ ს ღამოს
და მიაქვს ჩემი ახალგაზრდობა.

აგრეთ ბედი ვნებით მძლეველი
და ამდოდ ლოცვა-ვედრება,
თითქოს მე ვიყავ ნაზარევლი
სხვა აქ წამებით ვინ შემედრება.

გუშინ მე მქონდა სასიამოვნოთ
მზის ნატეხებით გზა ავსებული.
დღეს აქ სულის მეც მის „არული"
მაწვალებს იქვე თვალ დავსებული.

ᲜᲝᲔ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ

თხზულებათა გამოცემის ხელმძღვანელ წრისაგან.

ამ დღეებში შეუდგებიან ნოე ჟორდანიას ყველა ნაწერების ბეჭდვას.

გამოცემას ექნება აკადემიური ხასიათი და დართული ექნება: ნოეს ვრცელი ბიოგრაფია, სხვადა სხვა პირთა მოგონებები მასზე და მის მოღვაწეობაზე, მასალები მის მე დასის ისტორიიდან, სოციალ დემოკრატიის შექმნისა და აღორძინების ისტორიიდან, ცნობები პირველ მე დასისა და ს.-დემოკრატიის პიონერების ცხოვრება-მოღვაწეობიდან, ცნობები იმის შესახებ, თუ რა გავლენა ქონდა ნოეს ნაწერებს მუშათა კლასზე, რა გამოხმაურებას პოულობდენ ისინი მუშებში, ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი წარმოიშვა ჩვენში ბოლშევიკური მიმართულება და სხვა.

წრე, რომელსაც დაკისრებული აქვს ამ გამოცემის ხელმძღვანელობა, სთხოვს როგორც პარტიის ყველა მოღვაწეებს, ისე ყველა იმათ, ვისაც კი რაიმე ცნობები მოეპოვებათ ზემოხსენებული მიზნის ღირსეულად შესასრულებლად, ნუ დაიზარებენ და დაეხმარებიან მოგვაწოდონ ყოველი ცნობები და საჭირო მასალები.

ნოეს ნაწერები და ბროშურები, უმეტეს ნაწილად მისი არალეგალური ნაწერები დღეს ძალიან ძნელი საშოვარია; ამიტომ ვთხოვთ ყველა იმათ, რომელსაცაც რაიმე ასეთი ნაწერი მოეპოვებათ, გვათხოვონ ისინი დროებით. როდესაც საჭირო აღარ იქნება, უკანვე დიდის მადლობით დავუბრუნებთ.

ყოველი მასალები და ცნობები გამოგზავნეთ შემდეგის ადრესით: რუსთაველის პროსპექტი, № 26, ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბაში პეტრე გელეიშვილს.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ოსმალეთი.

თურქეთისა და ბოლშევიკების ხელშეკრულება. გაზეთ „ამერიკ-თურში" დაბეჭდილია ამ ხელშეკრულების ტექსტი. ხელშეკრულება დადებულია ქალაქ ხამაუზნში 1919 წლის 27 დეკემბერს. გაზეთში ასეა გადმოცემული ეს ხელშეკრულება:

„ინგლისის 23 ნოემბრიდან ოსმალეთის გამათავისუფლებელი პარტიის ცენტრი, რუმელიის და ანატოლიის უფლებათა დამცველ პარტიის დელეგაციის წევრნი და წარმომადგენელთა ის ხელშეკრულება, რომელიც ქალაქ სამსუნში შეუდგენიათ და ხელი მოუწერიათ, ერთის მხრით საბჭოთა რესპუბლიკის სახელით გამოგზავნილ რწმუნებულ პანოცკის და ტროცკის, მეორე მხრით ოსმალების და ისლამის დელეგატებს. ზემოხსენებული ხელშეკრულება შეიცავს შემდეგ მუხლებს:

1) ყველა ერების და რელიგიების თანასწორად თავისუფლების საფუძვლის მიმღები და ყველა ერის თვითგამორკვევის პრინციპის მცნობელი დიდი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით პანოცკი და ტროცკი და ანატოლიის და საბჭოთა კავკასიის, შუამდინარეთის, სირიის და ადერბეიჯანის და მთელ მსოფლიოს ისლამების სახელით მომქმედნი რაზა შემშედი, ბეჰ-ტიუკ ხაირულაჰ და რემზი ბეი შეთანხმდენ და შეიმუშავეს შემდეგი:

2) ოლისაველეთ და შუა ანატოლიაში შეკრებილი და მთელი თურქულ ერის წარმომადგენელ „მილლის ძალები", რომლებიც არავითარ პირობაში არ აასრულებენ მოკავშირეთ სახელმწიფოთა სურვილებს, არ წყვეტენ რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

3) რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა სცნობს და აღიარებს ოსმალურ მთავრობის დამოუკიდებლობას და სრულ ჰეგემონიას თავის საზღვრებში მყოფ ერთებითი ზღვის ჩამოსწვდების დროსა. საბჭოთა რესპუბლიკანური მთავრობა არწმუნებს, რომ არას დროს არ მიიღებს ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგო დადგენილებებს. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა სცნობს, რომ სტამბოლი თავის ტერიტორიით უეჭველად უნდა დარჩეს ოსმალების მთავრობის ჰეგემონიის ქვეშ და რომ ბოსფორის და დარდანელის სრუტეები უნდა დაინგრეს და სრუტეები ღია უნდა იყვნენ ყველა ერების ვაჭრობისთვის.

4) უკეთუ მოკავშირეთა სახელმწიფონი ეცდებიან ამ საფუძვლებზე შერიგებს ოსმალეთის იმპერიის მთავრობასთან და აიძულებენ, რომ ოსმალეთის იმპერიამ საქმით დაიცვას თავისი უფლებანი, საბჭოთა რესპუბლიკა თავის ყველა მატერიალურ და ზნეობრივ ძალებით უნდა დაეხმაროს ოსმალების ჰეგემონიას და ტერიტორიალური მთლიანობის შენახვას, თუ როგორ, რა ფორმით ქვეყანა მოყვანილ სისრულეში ეს დახმარება, მისი სამხედრო, ეკონომიური და სხვა პირობები, აღნიშნულია ამ ხელშეკრულების მეორე თავში.

5) ამ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერნი ყველა მაჰმადიანი დელეგატები კისრულობენ თავიანთ ქვეყნებში თავიანთ გარემოთა და პირობების თანახმად ჰარმონიულად დაამყარონ ყველა ის საზოგადოებრივი წესრიგი, რომლებიც გამოცხადებულნი და მიღებულნი არიან საბჭოთა მთავრობის მიერ და რომელიც სრულებით წინააღმდეგი არ არის ისლამის მრწმუნების და პრინციპებისა.

თავის დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოპოვების მქონე ისლამების ძალების წარმომადგენლობამ უნდა დაუბრუნოს საბჭოთა რუსეთს მოთხოვნისთანავე ყველა ის პირნი, რომლებიც შემოსული იქნებიან ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში,—მუხანათობაში ცნობილნი, საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ.

7) საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა თავის აზიაში მიზნად სთვლის ყველა მაჰმადიან ტომების დამოუკიდებლობის და თვითმართველობის დაცვას.

8) ამ ხელშეკრულების საჭიროებისათვის მოსკოვში უნდა დაარსდეს მუდმივი პოლიტიკური და სამხედრო ორგანო.

9) ეს ხელშეკრულება თავის დადასტურების დღიდან 20 წლის ვადით ძალაში იქნება, რაც ჯერ საიდუმლოთ უნდა დარჩეს.

10) ეს ხელშეკრულება მოხერხებულ დროს უნდა წარუდგინონ ოსმალეთის ოფიციალურ მთავრობას, წარმომადგენელთა კრებას (პარლამენტს) და ბოლოს ფადიშას დასადასტურებლად.

მთავრობა და ქემალ-ფაშა. ოსმალეთის მთავრობამ გაგზავნა ანატოლიაში განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მოლაპარაკება გამართოს მუსტაფა ქემალ ფაშასთან და აიძულოს უკანასკნელი დაემორჩილოს ცენტრალურ მთავრობის დირექტივებს.

რუსეთი.

ფეოდოსიაში. ნავთსადგურში შევრ გემებმა მოიყვანეს თავი. ნაპირზე გადმოსხეს 50 ათასი ჯარი. გავსებულია ყველა სახლები, მაღაზიები, ბეღლები. არ არის პური, არც ხორცი; თუ რაიმე საჭმელი მოიპოვება,—საშინელ ფასებში იყიდება. მაგ., კარაქი 1500 მან. ღირს, ხორცი—600 მან. და ს. ხ.

ლატვია.

მიწის კანონი. საძირკვლად-მუშავე რეფორმათა კომისიამ გამოიმუშავა კანონპროექტი მიწის შესახებ, რომელიც მომავალმა დამფუძნებელმა სეიმმა უნდა დაამტკიცოს და რომლის ძალითაც მიწის დიდ ნაწილს მაქსიმუმი ნორმა 50 დესეტინით განისაზღვრება.

სომხეთი.

საბერძნეთი და სომხეთი. ბერძნული გაზეთების გადმოცემით სტამბოლის სომხეთის პატრიარქი მიემართა პარიზში პოღოს ნუბარისათვის, რათა მან ითხოვოს საბერძნეთის მანდატი სომხეთზე, ვინაიდან, მათის აზრით, საბერძნეთი ერთად ერთი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია დაიცვას სომხეთი მასთან მტრულ განწყობილ მეზობლებისაგან.

მაწვეის დათენახათვის. პოლკ. ჰასკელმა განუცხადა სომხეთის მთავრობას, რომ ამერიკა 1-ლ აგვისტოდან შესწყვეტს სომხეთში ფქვილის შემოტანას. რადგანაც, ამასთანავე არ არის იმედი, რომ ფქვილის შემოტანა რუსეთიდან მოეწყობა,—სომხეთის მიწათმოქმედების მინისტრმა განკარგულება მოახდინა მკაცრი ზომებით, რათა პურის საქმე სახალხო საქმედ გახდეს და არც ერთი ნაჭერი მიწის დაუმუშავებელი არ დარჩეს.

სომხეთის საკითხისათვის გაზ. „სლოვოს" სპეციალური კორესპონდენტი პარიზიდან, სხვათა შორის, შემდეგს იტყობინება: კერძო ცნობების თანახმად, რასაც ინგლისურ-ფრანგული პრესაც ამოწმებს, სომხეთს ეძლევა: ვანის ვილაეთი ბაქიარის გამოკლებით, ბითლისის ვილაეთი სტრუბის საზღვრის გამოკლებით და არზრუმის ვილაეთი; ერზინჯანის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. გარდა ამისა, რათა სომხეთისათვის უზრუნველყოფილი იქნეს ზღვაზე გასავალი,—სომხეთს ეძლევა ლაზისტანი ზღვის სანაპიროებით ყოფილ რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან ვიდრე სიურმინემდე.

ᲤᲝᲗᲘ

ათიოქის თვე იქნება, რაც რუსეთიდან ქალაქს აწვრებული ლტოლვილნი მოიწყდა. ფოთიც იძულებული შეიქმნა შეეფარებინა 8 ათასამდე [illegible] მოხნით კიდევაც ასზე ქალაქ გარეთ მათთვის ბანაკი. ამდენი მუქთის მატებამ ქალაქის ცხოვრებას თავის დაღი დაასვა და ბაზარზედაც პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასები წარმოუდგენლად გაიზარდა. მართალია, ქალაქის გამგეობას ზოგიერთ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ყოველგვარ დახმარებას დაჰპირდნენ ლტოლვილებისათვის, მაგრამ დღემდის დაპირება მხოლოდ დაპირებად დარჩა. დღეს ფოთში სურსათ სანოვაგეზე ისეთი ფასებია, რომელიც ბათუმის საზღვრო ფასებს წინ უსწრებს და შესაძლებელია ახლო მომავალში პირველი მოთხოვნილების საგნების შოვნა გაძნელდეს ფასებზეც ძალზე გაძვირდეს.

ყველა ამის გამო თუ ფოთის მოქალაქე პირველ საგნებში წუწუნით კმაყოფილდებოდა, დღეს ის ენერგიულ ზომების მიღებას მოითხოვს ლტოლვილთა შემოსვლით გამოწვეულ სიძვირის თავიდან ასაცილებლად.

ეხლანდელ მდგომარეობის გამო ქალაქის მესვეურნი და ამხანაგები საგონებელში ჩავარდნენ, რადგან მარტო ადგილობრივი ძალებით, საქმის სირთულის გამო მდგომარეობის გამოკეთება შეუძლებელია. ისინი მოითხოვენ ცენტრმა მეტი ყურადღება მიაქციოს ფოთს, რადგან ეს ქალაქი, დღეს დატვირთული ლტოლვილებით, განსაკუთრებულ მდგომარეობაშია.

ბოლოდროს საჭიროა ლტოლვილნი გარეთ ფოთისა განაწილებულ იქნენ რესპუბლიკის სხვა დაბა ქალაქებშიაც, რადგან რამდენიმე ათასი უმოყოფილო ლტოლვილთა თავის მოყრა ერთ პატარა ქალაქში, როგორიც ფოთია, სასურსათო მოსაზრებით რომ თავი დავანებოთ, სხვა მოსაზრებითაც დაუშვებელია. ლტოლვილებში იმყოფება ინტელიგენტური ძალები, როგორიცაა: ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, გამოცდილი მეურნეები და სხვა და სანამ ისინი ჩვენში რჩებიან, საჭიროა და სასარგებლო იყოს მათი გამოყენება.

ნარი.

ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ

ვმიმართავთ თბილისის ყველა ქართველ გაზეთების რედაქციებს და წიგნების გამომცემლებს, რომლებიც კი მოისურვებენ ქართველ მოხუცთა თავშესაფარის დახმარებას, უფასოდ უგზავნონ თავიანთი გამოცემანი ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ვერის წიგნთსაცავ სამკითხველოს აპრილის პირველიდან წლის დამლევამდე, რადგანაც სამკითხველო ვერ გამოიწერს და ვერც ყოველდღიურად იყიდის ვერც ერთ ჟურნალ-გაზეთს უსახსრობის გამო, სამკითხველოთი კი სარგებლობენ უმეტესად მოსწავლენი თითქმის თბილისის ყველა სკოლებისა.

მოვაგონებთ აგრეთვე სამკითხველოს იმ თვიურ მკითხველებს, რომელთაც დიდი ხანია წიგნები აქვთ წაღებული, დააბრუნონ რაც შეიძლება მოკლე ხანში, ვინაიდან სამკითხველო დღეს უწიგნობას განიცდის ამ ქამად. აპრილის პირველიდან სამკითხველო დილა საღამოთაც ღიაა. მისამართი სამკითხველოსი: წყნეთის ქუჩა, № 12.

ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

პატივისცემით: ვერის სამკითხველოს გამგე.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲔᲒ. ᲡᲔᲒᲘ

(ბოლშევიკების ცნობებიდან)

მოსკოვი. აპრ. 15. შრომის ფრონტზე ბრძოლა ეს განუყოფელი ნაწილია ჩვენი მიერ წარმოებულ ბრძოლისა მშრომელთა კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლებისა და კომუნისტური წესწყობილების შესაქმნელად. რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად იძულებული ვართ უმთავრესი ჩვენი ძალ-ღონე მივაპყროთ სამხედრო საკითხებს, მთელი რესპუბლიკა გადავაქციოთ შეიარაღებულ ბანაკად, ხელი შევუწყოთ და განვავითაროთ უმთავრესად სამხედრო მრეწველობა. ჩვენ კიდევ მრავალ წელს ვ ქნებით თოფებით ხელში. მთელ ქვეყანაზე სოციალიზმის დამყარებამდე ჩვენ მუდამ უნდა ვიქნეთ შეიარაღებული და დაზოგებული. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი მომავალი კაპიტალისტური ქვეყნების საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე დავამყაროთ. ჩვენ თითონ უნდა შევქმნათ საბჭოთა რუსეთის საზღვრებში ჩვენი ეკონომიური აღორძინების საფუძვლები. ჩვენი წითელი ჯარის გამარჯვებამ ჩვენ დაგვიბრუნა ხორბალი და ნედლი მასალის წყაროები და შეგვიქმნა ისეთი საგარეო მდგომარეობა, რომ აწი შეგვიძლია სავსებით ხელი მოვკიდოთ ჩვენ სამეურნეო აღმშენებლობის საკითხებს და საზოგადო ძალების უმთავრესი ნაწილი გადავიტანოთ სამეურნეო ცხოვრების დაწინაურებისათვის საბრძოლველად, კომუნისტური წესწყობილების საძირკვლისათვის, მაგრამ ამ-

ცილდებლობა, რომ მუდამ სამხედრო მოქმედებისათვის მზად ვიყოთ, არ შეასუსტებს ჩვენ სამხედრო ორგანიზაციას, არამედ—პირიქით გაზრდის მის შრომის ფრონტზე საბრძოლველად; კაპიტალისტური წესწყობილების დაშლამ და წარმოების დაცემამ მუშათა ძალის დაქუცმაცება გამოიწვია. შრომის ფრონტზე ბრძოლა არის პირველად ყოვლისა ბრძოლა სოციალისტური კაპიტალისტური შრომის ორგანიზაციის წინააღმდეგ, პროლეტარიატისა და მუშა ძალების შეკრება და მათი მიზანშეწონილი ორგანიზაცია საზოგადოების საჭიროებისათვის. ამისთვის აუცილებელ პირობებს წარმოადგენს შემდეგი საყოველთაო შრომის მოვალეობა, ე. ი. ყველას ვალდებულება, რომ იმუშაოს იქ, სადაც მას სახელმწიფო დანიშნავს. საბჭოთა მთავრობის ხელში უნდა იქნეს მთელი მხარის მუშათა ძალა. ამ მიზანს ის ახორციელებს შრომის მობილიზაციით. მობილიზაცია უნდა გატარდეს ერთ სამეურნეო გეგმით. [illegible] აუცილებელია თავის მიყრა შრომის ძალის მთავარი მასისა [illegible] მიმართულებით. [illegible] 9 ყრილობის მიერ. [illegible] პირველად ყოვლისა საჭიროა ტრანსპორტის გაუმჯობესება და საჭირო დასამუშავებელი მასალის სათბობის და სურსათის შეკრება შემდეგ საჭიროა მანქანების კეთება მასიური სახმარებელი საგნების წარმოებისათვის. და ბოლოს მასიური სამეურნეო საგნების პროდუქციის წარმოება. [illegible] მრეწველობის [illegible] ელექტრიფიკაცია. [illegible] ყველა ძალების შეკრების აუცილებლობა გამარჯვებისათვის, აუცილებელია შრომის მილიტარიზაცია ესე იგი, მისი მოწყობა სამხედრო მანქანის [illegible] დისციპლინის, შრომის [illegible] პასუხისმგებლობით და მასთან ბრძოლა, ეს შრომის მილიტარიზაცია [illegible] მრეწველობის [illegible], რომელიც მიმართული უნდა იყოს ერთ [illegible] კოლეგიალობის [illegible], გამონაკლისის სახით. [illegible] შრომის [illegible]. [illegible] შრომის [illegible] ცხოვრებაში [illegible] და მართველობის [illegible], [illegible] ბრძოლა შრომის [illegible] ცენტრალიზმით [illegible], რათა [illegible] მასში [illegible] ცენტრიზმის [illegible]. [illegible] შრომის [illegible]. ბრძოლა, როგორც შრომის, ისე [illegible] მასის [illegible] მონაწილეობა. უნდა [illegible] ნამდვილი ზომები მუშათა [illegible] მასის ორგანიზაციულ [illegible], [illegible] აგიტაციის [illegible], [illegible] კრებებზე მოხსენების [illegible] განხილვით და მათზე [illegible] და საჭიროდ [illegible] მოწყობის საშუალებით. [illegible] და [illegible]. [illegible] ინტერესებში [illegible] და [illegible] მათზე [illegible] საქმეების [illegible] უნდა წინ უყენოს. (საქართ. დღე. [illegible])

ყრილობა სალიტერატურო ქართულის შესამუშავებლად

სახალხო განათლების სამინისტროს თან არსებულ სასწავლო კომიტეტის დადგენილების თანახმად, მიმდინარე წლის მაისის 24-ს ქ. თბილისში გაიხსნება ქართული ენის მცოდნეთა ყრილობა.

1

ყრილობის მიზანი.

ყრილობის მიზანია მოსპოს ის სხვა და სხვაობა, რომელიც დღევანდელ სამწერლო ენას ახასიათებს და მეცნიერულ თვალსაზრისით შეიმუშავოს და დაამკვიდროს ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო სალიტერატურო ქართულის ნორმები.

2.

ყრილობის შედგენილობა.

ყრილობას შეადგენენ:

ა. სასწავლო კომიტეტის მიერ არჩეული პირთაგან, რომელთა რიცხვსაც თვით კომიტეტი განსაზღვრავს.

ბ. განათლების სამინისტროს მიერ მოწვეულ პირთაგან.

გ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორით წარმომადგენლისაგან.

დ. ქართველ მწერალთა კავშირის ორით წარმომადგენლისაგან.

ე. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ერთის წარმომადგენლისაგან.

ვ. საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთის წარმომადგენლისაგან.

ზ. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ორის წარმომადგენლისაგან.

3.

საორგანიზაციო კომისია

ზემოაღნიშნული ყრილობის მოწვევამდე საჭირო წინასწარი მუშაობა დაეკისრება სასწავლო კომიტეტისაგან გამოყოფილ ყრილობის საორგანიზაციო კომისიას.

კომისია შეჰკრებს დღევანდელ სალიტერატურო ქართულში სადავო გამხდარი საკითხების შესახებ ყველა მასალას, განიხილავს და პერიოდულ გამოცემებში სხვადასხვა დროს [illegible]; ამავე მიზნით მიმართავს იგი [illegible] სადავო საკითხების შესახებ ცნობათა მოსაწოდებლად, თავს მოუყრის და გარკვეული სისტემით დაალაგებს მათ და თანაც [illegible], რომ ყრილობაზე [illegible] მოხსენება იყოს წაკითხული, მაგალითად: ორთოგრაფიის ისტორიიდან, ძველი და ახალი ქართული [illegible] კილოები და სამწერლო ენა, საორთოგრაფიო პრინციპები, ქართული პუნქტუაცია, ქართული კომპოზიტები და სხვა.

4.

ყრილობის მუშაობა.

ყრილობა შეიკრიბება პირველად მაისის 24-ს დილის ათ საათზე, სადაც წაკითხული იქნება მოხსენებანი და გარჩეული იქნება ყველა ის მასალა, რომელსაც წარუდგენს მას საორგანიზაციო კომისია. თვითეული სადავო საკითხის ყოველმხრივ აწონ დაწონის შემდეგ ყრილობა მიიღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ფორმის შემოსაღებად.

5.

სალიტერატურო ფორმის საბოლოო დადასტურება და ცხოვრებაში გატარება.

ყრილობის დადგენილებანი და დასკვნები მოხსენდება სასწავლო კომიტეტს უახლოეს სხდომაზე (ეწვევა ყრილობის ყველა წევრი), სადაც უნდა დადასტურდეს და საბოლოო სანქცია მიეცეს ყრილობის მიერ დადგენილ ფორმებს.

ამის შემდეგ განათლების სამინისტრო გამოაქვეყნებს საბოლოოდ მიღებულ ფორმებს და სავალდებულოდ გახდის ყველასათვის.

ყრილობის საორგანიზაციო კომისიისაგან.

ზემოაღნიშნული დადგენილების მე 3 მუხლის თანახმად არჩეული ყრილობის საორგანიზაციო კომისია უკვე შეუდგა სადავო საკითხების აღნუსხვას და სისტემატიურად დალაგებას, როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, ისე აგრეთვე სინტაქსში, მაგალითად:

1. ფონეტიკაში

1) ძველი ასოები ჲ, ჳ, ჴ, ჵ, და მათი ხმარება დღევანდელ სამწერლო ენაში;

2) ასიმილაცია დისიმილაციის გავლენა სალიტერატურო ქართულზე (ქალაქითგან თუ ქალაქიდგან, თბილისი, თფილისი თუ ტფილისი და სხვ. და სხვ.).

2 მორფოლოგიაში.

1) ლონი თუ თანი მიმართულებითში
2) პაუსა და სახის ხმარება ზმნ. ს ფორმებში.
3) ღნავ თუ დავ;
4) ვდგავარ თუ ვდგევარ;
5) ჰყვიროდა თუ ჰყვიოდა.
6) [illegible] თუ [illegible];
7) ვიწყებ და ვიწყობ;
და სხვადასხვა.

3. სინტაქსში:

მაგ. 1. ქართველი ერის თუ ქართველი ერი;

2) კარგი ურმის თვალი თუ ურმის კარგი თვალი;

3) რაც უნდა იყოს თუ რაც არ უნდა იყოს.

და სხვადასხვა.

კომისიას ხელთა აქვს პერიოდულ გამოცემებში გაბნეული მასალები. მაგრამ შესაძლებელია მას გამორჩეს [illegible] სადავო წერილი, განსაკუთრებით ძველ ჟურნალ გაზეთებში, ვსთხოვთ ავტორებსა და მკითხველთ მოგვაწოდონ ამგვარი ცნობები.

მათვე ვსთხოვთ მოგვაწოდონ ან ცალკე მოხსენების სახით, ან პრესის საშუალებით ყველაფერი ის, რაც მათ, როგორც [illegible] ქართული ენის კილოების [illegible] და განსაკუთრებით სადავო ფორმების გამორკვევასთან აუცილებლად შემდეგის სათაურით:

„მასალები სალიტერატურო ქართულისათვის“.

მისამართი: თბილისი, განათლების სამინისტროს ყრილობის საორგანიზაციო კომისიის წევრს ვუკ. ბერიძეს.

საორგანიზაციო კომისიის წევრნი: გ. ახვლედიანი, აკ. შანიძე, ს. გორგაძე, ვუკ. ბერიძე.

ს.-დ. პარტიაში

თელავი. 15 აპრილს, ამხ. ს. [illegible] თავმჯდომარეობით შედგა ს. ს. დ. მ. პ. [illegible] რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე განსახილველი იყო პარტიული ყრილობის დღის წესრიგი. მომხსენებლად მოწვეული იყო ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ნ. რამიშვილი.

მომხსენებელმა გააცნო კრებას ყრილობის დღის წესრიგი, შემდეგ შეჩერდა მნიშვნელოვან საკითხებზე, განმარტა მათი მნიშვნელობა ჩვენი პარტიისათვის. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ განსახილველად გამოყო საკითხი კონსტიტუციის შესახებ.. კითხვის განხილვისას ილაპარაკეს შემდეგ მაამხანაგებმა: თ. კიკვაძემ, ი. გ. მაისურაძემ, იჩ. რამიშვილმა, ლ. [illegible]შვილმა, ს. თავართქილაძემ და სხვ., რომელნიც შეეხნენ კონსტიტუციის ძირითად კითხვებს, [illegible] და [illegible] შემდეგ კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია და გადადვა მორიგ საკითხზე.

დანარჩენ კითხვების განსახილველად კრებამ მორიგი კრება დანიშნა მომავალ ხუთშაბათისათვის, 23 აპრილს.

X.

მუშათა შორის

ავლაბრის მუშათა კლუბი. 5 აპრილს შედგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის მორიგი სხდომა;

გამგეობამ სასწრაფოდ მიიღო ზომები მოწვეულ იქნეს ქონების მომწესრიგებელი კომისიის სხდომა. [illegible] ამხ. ს.. [illegible] კომისიის სხდომას.

[illegible] შესახებ, გამგეობამ დაადასტურა პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, ვინაიდან ერთი კვირის განმავლობაში მუშათა კლუბის დარბაზი თავისუფალი იყო.

ამხ. იოს. ხუციშვილის მოხსენება, რომელიც შეიცავს [illegible] მუშათა კლუბს, გამგეობამ მოისმინა და [illegible]: ამხ. ხუციშვილის მიერ შემუშავებული გეგმა გადაეცეს სათეატრო კომისიას, [illegible].

[illegible] უნდა [illegible], რაც [illegible] აუცილებელი იქნება.

კლუბის [illegible] შესახებ [illegible] იქნეს [illegible] პრინციპიალური მხარე, [illegible] მხოლოდ [illegible] შემდეგ, რომელიც [illegible].

ამხ. [illegible] შესახებ [illegible] 3.6 წარმოდგენით [illegible].

ამხ. [illegible] მოხსენების გამო, რომელიც უნდა შედგეს 12 აპრილს, ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, გამგეობა მიიღებს ზომებს, რომ მსმენელები ბევრი დაესწროს.

შემდეგი კრებისთვის [illegible]. [illegible] და [illegible] მოწყობა.

[illegible]

პროვინცია

სიღნაღი. 31 მარტს სიღნაღში გამოვიდა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფრ. ამხანაგი ალ. ლომთათიძე. პირველ აპრილს მოხსენება გააკეთა სამხედრო პოლიტიკურ კონფერენციაზე. ამავე დღეს [illegible] სიღნაღის პირველ დაწყებით [illegible] სასწავლებლის შენობაში გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. დაესწრო აუარებელი ხალხი და დიდი კმაყოფილი დარჩა მოხსენებით. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა [illegible] რეზოლუცია. [illegible], 2 აპრილს ლომთათიძე გამგზავრდა დაბა ლაგოდეხში. კრება გაიმართა კლუბის დარბაზში. დაესწრო აუარებელი ხალხი. [illegible] 3 აპრილს [illegible] ხალხი. ლომთათიძემ მიმართა [illegible] ქართულ-რუსულად, რადგან კრებაზე იყვნენ რუსები. ამავე დღეს [illegible] გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც ლომთათიძემ გააკეთა საჯარო მოხსენება. მოხსენებამ ძლიერ შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და კმაყოფილი დაიშალა.

კვირას, 4 აპრილს ქვ. [illegible] გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც თავი მოიყარეს ქიზიყის ყველა სოფლებიდან. ხალხი მეტად გულდასმით უსმენდა და ნასიამოვნები იყო მოხსენებით. [illegible] დეპუტატი ს. [illegible].

5 აპრილს ლომთათიძე და დეპუტატი [illegible] წინანდლის სახელმწიფო მამულებში.

[illegible]

თფილისის ტრამვაის მოსამსახურეთა საავადმყოფო კასსა

(ამონაწერი 1919 წლის წლიური ანგარიშიდგან.)

შემოსავალი

მთელი წლის განმავლობაში შემოვიდა 1) საწევრო გადასახადი საავად. კასის წევრთაგან 473 442—53. 2) მწარმოებლისაგან შემოსატანი 372.870—88. სულ შემოვიდა 846 313—51. საავადმყოფო კასის ინვენტარის გაყიდვიდან 8.588. ჯამი—854 901—51.

გასავალი

1) გაცემულია დახმარება ავადმყოფობის გამო 545.615—28. 2) გაცემულია დახმარება კასის წევრთა დასამარხათ 17.500 3) გაცემულია დახმარება კასის წევრთა ოჯახობის დასამარხათ 36.420. 4) გაცემულია დახმარება სამშობიარო 610. 5) გაცემულია ჯამაგირები კასის მოსამსახურეებს 39 636—35. 6) გაცემულია ჯილდო გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებს 3 540. სულ გასავალი 633 351—63. ნაშთი 1 იანვარს 1920 წ. 221.549—88. ჯამი 854 901—51.

კასის მოქმედება

რწმუნებულთა საზოგადო კრება წლის განმავლობაში იყო ორჯერ, სხდომა გამგეობისა 43, სარევიზიო კომისიამ მოახდინა რევიზია 2 ავადმყოფთ დახმარება ეძლეოდა ორი მესამედი ხელფასი ჯამაგირის, პირველი დღიდგან და [illegible].

სტატისტიკური ცნობანი.

1. კასის წევრთა რიცხვი 1190
2. „ „ გარდაცვალებულთა რიცხვი 35
3. „ „ ოჯახობის „ 169
4. დაბადებულთა რიცხვი 51
5. კასის წევრთა ავადმყოფობის რიცხვი 1279.
6. კასის წევრთა ნაავადმყოფარი დღეთა რიცხვი 21.150

კასის წევრთა ავადმყოფობა:

3—დღემდის			209 წ.
3—დღ	1 კვირამდის		431 „
2—კვ.	3	„	366 „
3—კვ	7	„	183 „
7—კვ.	10	„	48 „
10—კვ.	26	„	42 „

საშუალო რიცხვი დღიური ავადმყოფობის 1919 წელ. 67 კაც.

სამედიცინო დახმარებაზე კასის მონაწილეობისა და მათი ოჯახობისათვის (რომელთა რიცხვს შეადგენენ 4320 სული) 1919 წელს დაიხარჯა —817.273.64.

ა ქ ე დ ა ნ

1. საავადმყოფოში მწოლარე და მოარულე ავადმყოფებზე 67 125—15
2. წამლებზე 550 097—29.
3 ექიმობა კასის წევრთა და მათი ოჯახობისათვის კასის გარეშე 7 051.20
4. სამედიცინო პერსონალის შენახვაზე 223 000—

სულ 847.273.64

საავადმყოფო კასის გამგეობა.

განცხადებანი

ე ქ ი მ ი
გენრიხ ისაის ძე ბოლოხი
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებით ავადმყოფებს დილით 1—2 ს, საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.
(1304 25—1)

ე ქ ი მ ი
სოლომონ ისაის ძე ვოლოხი
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ № 5.
1303—25—1)

გამოცდილ მუჭაპალტერს
რომელსაც მიუღია ყოველმხრივი გამოცდილება სხვადასხვა სამრეწველო და საზოგადო დაწესებულებებში 15 წლის განმავლობაში, სურს
გამოიცვალოს ადგილი
მისამართის გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის“ რედაქციის კანტორაში.
(1122 4—4)

ი უ ი ლ ე ბ ა
ც ხ ი ნ ვ ა ლ ი
საჯარო ვაჭრობით კვირას 18 [illegible]
12 საათზე (ფლ. სანდლის ქ. № [illegible] 136)
თფილისის სამაზრო ერობის [illegible]
განყოფილება.
(5 2—2)

[illegible]
სასწრაფოდ იყიდება [illegible]
60 „პ [illegible] ა“
20 ცალი თითო 500 მან. 40 ცალი თითო 750 მან. პლეხანოვის ქუჩა 25 (ყოფ. მიხეილის ქ.) შესავალი ალექსის ქუჩიდან 5, მაჰაიძის ბინა 9—4 [illegible].
(1276—3—3)

მედიცინის დოქტორი
ივ. ღუდაძე
სიფილისი, ვენერიული და კანის [illegible] მყოფობა, მიღება საღამოს 4—7 [illegible] მეჩნიკოვის ქუჩა, სახლი № 3, ბინა [illegible] 5. პლეხანოვის პროსპექტის შესახვევი.
(1259—14—6)

სახლი მიმდლი, ავეჯი, [illegible] და [illegible] ვეძლო და საცავერო დაწესებულება [illegible] სანი ნივთები ვისაც სურს [illegible] თის „ინტელიგენტთა ჯგუფს“, [illegible] ტურა. დილით მოთხოვნილება და [illegible] № 2, ტელეფონი 2—28 თფილისის [illegible] და [illegible].

კბილის ექიმი
ე. თ. ლორია-მელიქიშვილი
ჯიბლაძისა
და მისი ასისტენტი მ. ა. ლიფიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ [illegible] მასწორო კბილებს. ავ თმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანა'ს ტასის ქუჩა № 13. ტელეფონი 8—63. (21—4)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს. [illegible] მისამართი ოლღას ქუჩა № 33.
(1288 25—2)

ე ქ ი მ ი
ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—4)

ე ქ ი მ ი
ი. ი. ჭეიშვილი
იღებს სპეციალურად: სიფილისით (შეშხაპ. 606—914) ვენერიულ და საშარდე ორგანოებით სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. [illegible] ლერმონტოვის ქუჩა № 73, [illegible] სავადმყოფოს პირდაპირ.
(1224 —ო.)

ო ზ უ რ გ ე თ ში
ექიმი აბაშიძე
[illegible] ავადმყოფებს შინაგან [illegible], გულის, კუჭის და [illegible] [illegible] „[illegible]ით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. [illegible] სახლში. (კუპ. 186)

[illegible] ქალი
მ. მ. ბლუმენი
[illegible] ქუჩა № 26. იღებს [illegible] 12—2 საღამოს 6—7. [illegible] [illegible] ქალების ავადმყოფობა. [illegible] [illegible] ავადმყოფობა.

ექიმი ჩ. ი. [illegible],
[illegible] და [illegible] [illegible] [illegible] საღამოს 6—1 საათამდე. [illegible] ქუჩა № [illegible], [illegible].

[illegible] და [illegible] მცენა[illegible] და მთელ კავკასიაში, საპრეს [illegible], ფაბრიკები და ყოველგვარი ფა[illegible] იყიდოს ან გაყიდოს მიმართ[illegible] ხოვოთ აქვს მოწყობილი კლიენ[illegible]. მისამართი: [illegible] ქ № 3, ბინა [illegible] საზოგადოება. დილის 11—2 საათ. 5—7 საათ. (1313—1—1)

6 დღე 19, 20, 21, 22, 23 და 24

თომას კვირა

ს. ბეზრუჩკოს მაღაზიაში იმ კ[illegible]ზრუჩკოს

რომელიც ვერის ხიდთან არის

დანიშნულია გაყიდვა მანუფაქტ[illegible] საქონლისა

5-დან 30 პროც. [illegible]ლებით

მორჩენილ ნაჭრებზე [illegible]

20-დან 50 პრო[illegible]ამდე

(1205—1—1)